ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის <u>რეკომენდაცია 1846 (2008)</u> **საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შედეგები**

1. საპარლამენტო ასამბლეა ეყრდნობა მის რეზოლუციას 1633 (2008) საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შედეგების შესახებ, რომელშიც ის მიესალმა, სხვებს შორის, მინისტრთა კომიტეტის შვედეთის თავმჯდომარეობის ინიციატივას, რომელმაც, 2008 წლის 24 სექტემბერს მოიწვია ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალური საგანგებო შეხვედრა, რათა მოემზადებინა ორგანიზაციის სამთავრობათშორისო სექტორის პასუხი აღნიშნულ კრიზისზე.

2. ასამბლეა, ამასთან დაკავშირებით, იხსენებს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1994 წელს მიღებულ დეკლარაციას ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა მიერ აღებული ვალდებულებების განხორციელების შესახებ, რომელიც თავად მას აკისრებს პასუხისმგებლობას, უზრუნველყოს ვალდებულებათა სრულფასოვანი შესრულება ყველა წევრ სახელმწიფოში, სხვა არსებული პროცედურებისადმი, მათ შორის საპარლამენტო ასამბლეისა და სახელშეკრულებო მაკონტროლებელ უწყებათა საქმიანობისადმი ზიანის მიუყენებლად.

3. ასამბლეა, შესაბამისად, რეკომენდაციით მიმართავს მინისტრთა კომიტეტს: 3.1. შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა და მიიღოს კონკრეტული ზომები იმისათვის, რათა გამოეხმაუროს ორგანიზაციის ორ სახელმწიფოს შორის არსებულ კრიზისს, რომელიც, შედეგად, თვით ორგანიზაციის შიგნით არსებობს, ორგანიზაციის მანდატისა და საექსპერტო გამოცდილების მხედველობაში მიღებით;

3.2. დასახოს განსაკუთრებული ნაბიჯები იმისათვის, რათა უზრუნველყოს როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის მიერ აღებულ ვალდებულებათა სრულყოფილი შესრულება, მათ შორის, ადგილზე გაძლიერებული წარმომადგენლობა და ადამიანის უფლებათა დამცველი მისია;

3.3. წაახალისოს ყველა წევრი სახელმწიფო, მიუერთდნენ გაეროს კონვენციას კასეტური შეიარაღების შესახებ.

2008 წლის 2 ოქტომბერი

(http://portal.coe.ge/downloads/Resolutions/Rec1846(2008) Geo.pdf)